ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის

## სადოქტორო პროგრამის დასახელება

## I. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა (Economic and Social Statistics)

## II. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ეკონომიკის დოქტორის (**Ph.D in Economics)** აკადემიური ხარისხი მიენიჭება **„**ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის" სპეციალობით დოქტორანტურის კურსდამთავრებულს, რომელმაც სრულად განახორციელა ამ სპეციალობის შესაბამისი სასწავლო და კვლევითი გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა სადოქტორო დისერტაციის დაცვის ჩათვლით.

## III. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (cv)

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სპეციალობით სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელია სრული პროფესორი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, თსუ ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი სიმონ გელაშვილი.

დაბადების თარიღი და ადგილი: 15.11.1954. ახალგორის რაიონი, სოფ. იკოთი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული (მეუღლე და 3 შვილი)
საცხოვრებელი ადგილი და მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. 99, ბ. 20
0186 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: (995 32) 303059 - სამს., (995 32) 325764 – ბინა; (995 99) 462330 – მობილური.
ელ-ფოსტა: sgelaschwili@gmx.de

**სამსახურებრივი გამოცდილება:**

| | |
|---|---|
| 1977 – 1981 | საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ეკონომისტი |
| 1981 – 1984 | საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, უფროსი ეკონომისტი |
| 1984 – 1985 | საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, წამყვანი ეკონომისტი |
| 1985 – 1989 | საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, განყოფილების უფროსი |
| 1989 – 1996 | საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, სამმართველოს უფროსი |
| 2001 – 2005 | საქართველოს სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი |
| 2000. 01. – 2006.01.09 | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტატისტიკის კათედრის პროფესორი |
| 2009.01.09 - დღემდე | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი |

**შეთავსებითი მუშაობა ამჟამად:**

| | |
|---|---|
| 2005.09. – დღემდე | პოტსდამის უნივერსიტეტის (გერმანია) სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის კათედრის პროფესორი |
| 2005.03. – დღემდე | საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი |

**განათლება (ტრეინინგი) :**

| | |
|---|---|
| 1972 – 1977 | თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი, სტატისტიკის სპეციალობა, დიპლომი წარჩინებით |
| 1978 – 1981 | თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი, სტატისტიკის კათედრის ასპირანტი |
| 1984.02. – 1984.05. | მოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკური ინსტიტუტი, სტაჟიორი |
| 1986.09. – 1986.11. | მოსკოვის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის სტატისტიკის |

კათედრის სტაჟიორი

| | |
|---|---|
| 1996 – 1999 | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტატისტიკის კათედრის დოქტორანტი |
| 1998.09. – 1998.12. | პოტსდამის უნივერსიტეტის (გერმანია) სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის კათედრის სტაჟიორი |

**სამეცნიერო ხარისხი და წოდება:**

| | |
|---|---|
| 1988 | ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპეციალობა – სტატისტიკა |
| 1999 | ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სპეციალობა – სტატისტიკა. სადოქტორო დისერტაციის თემა: „საბაზრო პროცესების სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდოლოგია“ |
| 2002 | პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება სპეციალობით სტატისტიკა |

**გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:**

სულ გამოქვეყნებულია 62 სამეცნიერო შრომა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე, მათგან 10 – საზღვარგარეთ. ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია 26 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 3 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო

**სამეცნიერო საბჭოს წევრობა:**

| | |
|---|---|
| 2002 – 2006 | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური დარგის ც 08.02 №2 სადისერტაციო საბჭოს წევრი |

**სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობა:**

| | |
|---|---|
| 2003 – დღემდე | საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „უკრაინის სტატისტიკა“ (კიევი) სარედაქციო კოლეგიის წევრი |
| 2007.02 – დღემდე | სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ახალი ეკონომისტი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი |

**საერთაშორისო სამეცნიერო
და პროფესიული
ორგანიზაციების წევრობა:**

| | |
|---|---|
| 1997 – დღემდე | საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის (ჰოლანდია) წევრი |

**საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციებში მონაწილეობა:**

| | |
|---|---|
| 2002 | საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის გამოყენებითი ასპექტები“, მოსკოვი |
| 2002 | IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „რეგიონული და მუნიციპალური მართვის პრობლემები”, მოსკოვი |
| 2002 | საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ოჯახის და ბავშვთა პოლიტიკა“, ბერლინი |
| 2003 | საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ინფლაციის გაზომვა“, ბერლინი |
| 2005 | საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ეკონომიკური პროგნოზირების მომავალი“, ლაიპციგი |
| 2006 | საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ევროპის ახალი ფინანსური არქიტექტურა”, ბერლინი |

**საერთაშორისო სამეცნიერო
კონსულტანტობა:**

| | |
|---|---|
| 2003.05. – 2006.05. | ეკონომიკის, სტატისტიკისა და ინფორმატიკის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის კათედრის კონსულტანტი საგანში: „პროგნოზირების სტატისტიკური მეთოდები“ |
| 2003.06 – 2008.06. | ეკონომიკის, სტატისტიკისა და ინფორმატიკის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის თეორიისა და პროგნოზირების კათედრის კონსულტანტი საგანში: „სტატისტიკის თეორია“ |

**წიგნის (კრებულის) რედაქტორობა:**

საერთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკა და სტატისტიკა გარდამავალ პერიოდში". თბ., 2002 (მთავარი რედაქტორი)

ბ. გაბიძაშვილი, ზ. კირვალიძე, სიღარიბე საქართველოში (ეკონომიკურ-სტატისტიკური ნარკვევი). თბ., 2003 (რედაქტორი)

ბ. გაბიძაშვილი, ფისკალური სტატისტიკა. თბ., 2004 (რედაქტორი)

ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკის თეორია. თბ., 2005 (რედაქტორი)

ბ. გაბიძაშვილი, მათემატიკური სტატისტიკა ეკონომიკაში. თბ., 2004 (რედაქტორი)

ბ. გაბიძაშვილი, სიღარიბის პორტრეტი საქართველოში (მოკლე ეკონომიკურ-სტატისტიკური ნარკვევი). თბ., 2006 (რედაქტორი)

ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკის ზოგადი თეორია. თბ., 2006 (რედაქტორი)

**სამეცნიერო (სამაგისტრო) ნაშრომების ხელმძღვანელობა და ოპონირება:**

2000 – დღემდე — სტატისტიკის სპეციალობის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი

1996 – დღემდე — მრავალი სამაგისტრო ნაშრომის და საკონფერენციო თემის ხელმძღვანელი, დისერტაციის ექსპერტი, ოპონენტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი

**საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა და მიღებული გრანტები:**

2005.09. – დღემდე — გერმანია-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი თემაზე: „საგადასახადო რეფორმა და ფისკალური პასუხისმგებლობა: საფინანსო და სოციალური პოლიტიკის სრულყოფის გზები საქართველოში" (პროექტის კოორდინატორი საქართველოში)

1998 – 2007 — DAAD, Konrad Adenauer Stiftung, Volkswagen-Stiftung და DFG

სამეცნიერო კონკურსებში მრავალგზის გამარჯვება და შესაბამისი სტიპენდიების მიღება

ენების ცოდნა: ქართული – მშობლიური,

რუსული – კარგად,
გერმანული – კარგად,
ინგლისური – მწირად.

კომპიუტერი: MS office (word, excell), SPSS და ინტერნეტი

**სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი (CV)**

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სპეციალობით სადოქტორო პროგრამაში თანახელმძღვანელის სტატუსით მონაწილეობს ეკონ. მეცნ. დოქტორი, ასოც. პროფესორი ბიკენტი გაბიძაშვილი. ( CV პროგრამას თან ერთვის).

## IV. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

**მიზანი:** ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სპეციალობით ეკონომიკის დოქტორის მომზადების მიზანია საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტის აღზრდა.

ეკონომიკისა და ბიზნესის, ასევე სოციალურ-დემოგრაფიული სფეროების ადმინისტრირება წარმოუდგენელია შესაბამისი სახის უტყუარი, საიმედო და მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაციის გარეშე. სწორედ ასეთი ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და ანალიზს ემსახურება თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა. ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესების რაოდენობრივი გაზომვის, შეფასებისა და პროგნოზირების სტატისტიკური მეთოდები ნებისმიერი პროფილის კვალიფიციური ეკონომისტის, განსაკუთრებით კი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ქვაკუთხედს შეადგენს.

**შედეგი:** სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭება პირს, რომელსაც:

- გააჩნია მაგისტრატურაში მიღებულ განათლებაზე დაფუძნებული და გაღრმავებული ცოდნა ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში, რაც უზრუნველყოფს იდეის ორიგინალური განვითარების ან გამოყენების შესაძლებლობებს;
- შეუძლია ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება ახალ ან სრულიად უცხო გარემოში;
- გააჩნია ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლია თავი გაართვას სიძნელეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც მისი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიცაა ასახული;
- შეუძლია თავისი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან, ნებისმიერ დონეზე;
- გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას აძლევს უშუალოდ თვითონ ან მისი ხელმძღვანელობით განხორციელდეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კვლევა.

**დასაქმების სფეროები:** სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია იმუშაოს უნივერსიტეტებში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და კოლეჯებში ნებისმიერ აკადემიურ თანამდებობაზე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, აგრეთვე ნებისმიერი სამინისტროს და სახელმწიფო უწყების ეკონომიკურ-სტატისტიკურ ორგანოებში, ბანკებში და სხვ.

## V. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სპეციალობით ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე მიიღება უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხული ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და აპრობაცია აქვთ გავლილი.

## VI. განსაკუთრებული პირობები

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სპეციალობით ჩარიცხული დოქტორანტის მიერ მომზადებული სტატიის შეფასება ხდება საერთაშორისო კრიტერიუმებით; ქულების მაქსიმალური რაოდენობა არის 20, ხოლო გამსვლელი ქულა – 15. თუ ექსპერტის მიერ სტატია შეფასებულია 11-14 ქულით, მაშინ მის გადასამუშავებლად დოქტორანტს ეძლევა 3 თვის ვადა, ხოლო 11 ქულაზე ნაკლების შემთხვევაში უნდა მომზადდეს სხვა სტატია.

## VII. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება დოქტორანტს შეუძლია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, რომელთანაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა.

საჭირო ინფორმაციის დამატებითი მოპოვებისა და დამუშავებისათვის დოქტორანტები უზრუნველყოფილნი არიან ეკონომიკური სტატისტიკის კათედრაზე არსებული ლაბორატორიით, რომელიც აღჭურვილია სათანადო თანამედროვე კომპიუტერებით (3 კომპლექტი თავისი პრინტერით), ინტერნეტითა და სპეციალური ლიტერატურით ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ აგრეთვე კათედრაზე არსებული გერმანიასთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში მომზადებული თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის ინფორმაცია.

## VII. დოქტორანტების რაოდენობა

ეკონომიკური სტატისტიკის კათედრაზე ამჟამად არსებული აკადემიური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, ყოველწლიურად შესაძლებელია 6 დოქტორანტის მიღება და მათი მომზადება საერთაშორისო დონეზე.

## VIII. სადოქტორო პროგრამაში თანამონაწილე სხვა ორგანიზაციები

დოქტორანტების მომზადება „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის" სპეციალობით განხორციელდება პოტსდამის უნივერსიტეტის (გერმანია) სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის კათედრასთან ერთად, საიდანაც მიღებულია ოფიციალური წერილობითი თანხმობა (წერილის ასლი თანდართულია).

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი | გაბიძაშვილი ბიკენტი |
| დაბადების წელი, თვე, რიცხვი | 1935 წ. 10.03 |
| ეროვნება | ქართველი |
| მისამართი | თბილისი, დიღმის მასივი, I კვ., XII კ., ბ., 61 |
| ტელეფონი | 52 25 10; 899 21 05 23; |
| ელ. ფოსტა | bikentigabidzashvili@yahoo.com. |

განათლება:

| | |
|---|---|
| 1986 წ. 10.10 | მიენიჭა სტატისტიკის კათედრის პროფესორის სამეცნიერო წოდება |
| 1985 წ. 13.12 | მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მრავალგანზომილებიანი პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრობლემები“. |
| 1965 წ. | მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „საწარმოო სიმძლავრეები და მათი გამოყენების გაუმჯობესების გზები“. |
| 1961-1964 წწ. | თსუ დასწრებული ასპირანტურის ასპირანტი |
| 1954-1959 წწ. | თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი, მეწარმეობის ეკონომიკის სპეციალობით |
| 1944-1954 წწ. | ცაგერის რაიონის სოფ. ტვიშის საშ. სკოლა |

პროფესიული გამოცდილება:

| | |
|---|---|
| 1974 წ. 12.07 – 2006 წ. 1. 09 | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის პროფესორი, სტატისტიკის კათედრის გამგე; |
| 2006 წ. 1. 09 – დღემდე | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი. |
| 1970 15.06 – 1974 01.06 | თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი; ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის დოცენტი; |
| 1970 21.01-1970 15.06 | საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი; ეკონომიკური ინფორმატიკის მექანიზებული ორგანიზაციის კათედრის დოცენტი; |
| 1966 01.11-1970 21.01 | სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკურ |

| | |
|---|---|
| | კვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების ლაბორატორიის გამგე; |
| 1964 01.10-1966 01.11 | მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის მასწავლებელი; |
| 1959 წ. 01.10 - 1961 წ. 26.10 | ქუთაისის ავტოქარხანა, უფროსი ეკონომისტი; |
| 1965 წლიდან დღემდე | მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, რეცენზენტი, რედაქტორი, საკანდიდატო, სამაგისტრო, ნაშრომების მეცნიერ-ხელმძღვანელი, ოპონენტი, ექსპერტი. |
| 1970 წლიდან დღემდე | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკური დარგის **Ec 08.02. №2** სადისერტაციო საბჭოს წევრი |
| 1970 წლიდან | თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი |
| 1990-1991 წწ | სტატისტიკაში სადოქტორო დისერტაციების დაცვის საბჭოს თავმჯდომარე |
| 1997-2000 წწ | საქართველოს სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის საკოორდინაციო საბჭოს წევრი |
| გრანტი:<br>2004 წ. | მეანაბრეთა თანხების ინდექსაციის ექსპერტიზის წევრი |
| სამეცნიერო შრომების რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში | 30 |
| მათ შორის:<br>მონოგრაფია | 4 |
| სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო: | 9 |
| სტატია | 17 |
| მათ შორის:<br>რეფერირებად ჟურნალებში | 10 |
| ენები: | ქართული (მშობლიური)<br><br>რუსული ენა<br>გერმანული ენა |
| კომპიუტერული პროგრამების ცოდნა | **MS office (Word, Excel, Internet)** |